

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
აკადემიური საბჭო  
დადგენილება № 142  
(23. 07. 2009 წ.)

მედლის „გიორგი ნიკოლაძე“ დებულების მე-5 პუნქტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელს-მედლის „გიორგი ნიკოლაძე“ მფლობელს- სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ფულადი ჯილდოს სახით ეძლევა ყოველთვიური თანხა, პენსიაში გასვლის მომენტისათვის არსებული ხელფასის რაოდენობით. მედლის „გიორგი ნიკოლაძე“ მფლობელს ემერიტუსის სტატუსის მინიჭების, შრომითი საქმიანობის დაწყების ან გაგრძელების შემთხვევაში უწყდება ფულადი ჯილდოს მიცემა;
- 2) შეტანილ იქნეს ცვლილება დებულებაში მედლის „გიორგი ნიკოლაძე“ მე-5 პუნქტში;
- 3) ცვლილება დებულებაში – მედალი „გიორგი ნიკოლაძე“ დასამტკიცებლად გადაეცეს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

(ა. ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

(გ. სალუქვაძე)